

რედაქცია

მოღონის (ბახ-ბახის) შედარებ, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи редакціи газетъ „Дროზბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, და თურქულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცქროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროშა

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქციის აზარი

სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ წლებადღობა ხელის-მოწერამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა: პირველი ნახევარი წლის ნომ. რები (600 ეგზემპლარი) სულ გასაღდა. ამის გამო ხელის მოწერა მთელ ამ წლის „დროშაზე“ შემდგომი აღარ მიიღება მსუბუქს შემძლია დაიბაროს გაზეთი მხოლოდ მხოლოდ ნახევარის წლისა, ე. ი. 1875 წლის 1 ივლისიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე.

საქართველო

თელავის სასულიერო სასწავლებლის თარგამი *)

(პასუხი უფ. რაფიელაშვილს)

შმათერესი მიზეზი, რომლის გამოც უ. შორანსონდენტი ხედავს საქირად გაუქმდეს თელავის სას.

*) ეს გვიან იმისთვის ვწერთ, რომ ჩვენ, რადგანაც არ ვიწერთ „დროშას“, გვიან ჩავივიარდა ხელში მს, რომელშიაც უფ. რაფიელაშვილის კორრესპონდენცია იყო და ბეჭდილი.

ფელტონი

ლორე გამბეჭა *)

IV

შემდეგ სედანის კაპიტულაციის და ნაპოლეონის თავის 100,000 ჯარით ნემცებისაგან შეპყრობისა, საფრანგეთს გაწრთენილი და ომისათვის სავარგისი ჯარი არ დარჩენია, გარდა იმისა რაც ქალაქს მცემს იყო დამწყვეტული; აქ იყო 175 ათასი კაცი თავის სარდლით მარშალის ბაზენით.

ბაზენი, მტერთან ომისა და სამშობლოს დანებარების მაგიერათ, დაჯდა ქალაქში და არა თუ ყურსაც არ უგდებდა იმას, თუ საფრანგეთი რა განსაცდელში ვარდებოდა, არამედ ბოლოს სრულიად უღალატა სამშობლოს და ამდენ ჯარს დააყრევინა თორთ-იარალი.

ხელ-ახალი ჯარის დაარსებას, გაწერონას, დაიარაღებას დრო უნდოდა, და მასთან ორი თვე უსარგებლოთ დაიკარგა პარიჟელი მართებლობის

*) „დროშა“ №№ 87, 88 და 89.

წაელეგელი, მდგომარეობა, სხვათა შორის, იმაში, რომ ამ სასწავლებელს, რაც ახალი წესდებები დაიწყო, 40-50-ზედ ზევით ვერ აწვლია რიცხვი შეგირდთა და რომ თულიკი (2.497 მან.) იხარჯება ყველა წელიწადს იმდენი, რამდენიც ხსენებული წესდებულებით დადებულია 160 შეგირდზედ.

შცხო თვალთ რომ შეეხებოთ ამ საქმეს და მხედველობაში ექონიოთ ის გარემოება, რომ წინათ, ვიდრე ახალი წესდებულება დაიწყო, თელავის სასწავლებელს მეტი ჰყავდა შეგირდები *), მეტი იმ რიცხვზედ, რაც ახალი წესდებულებით დადებულია (160 შეგირ.), მაშინ ჩვენ ასეთი ნაკლების რიცხვის მიზეზით ორს რასმეს წარვადგენთ: ან იმას, რომ დროდგან ახალი წესდებულებისა თელავ-სადნალს უეზდების სამღვდლო ხალხს შეილები აღარ უჩნდებათ, ან არა და იმას, რომ ისინი თავის შეილებს ცილებენ სასულიერო სასწავლებელს და ზდიან სხვა გვარ სასწავლებლებში. ამ ორი აზრიდან — ერთ-ერთი აუცილებელია.

მაგრამ როცა დავაკვირდებით კარგათ და გამოვიკვლიეთ საქმის გარემოებას, მაშინ სულ სხვა აზრს დავა-

**) ეს ჩვენ ზედმიწევნით ვიცით.

მიზეზით მოხუცებული დელეგატების გაგზავნით პროვინციებში.

ამ დელეგატებს თითქმის არა გაუჩივებიათ რა და არც კაცი ყურს უგდებდა მათ. მარტო სურვილი საქმე არ იყო ქვეყნის ხსენისათვის, აქ მეცადინეობა და ენერგია უნდოდა, რომელიც საუბედუროთ მათ აკლდათ.

მხლა ყველაფერი ბამბეტას სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

ბამბეტა ჩამოვიდა ტურში 9 ოქტომბერს. 9 ნოემბრისთვის, ე. ი. ერთი თვის განმავლობაში, გამოაწყო ჯარი, სახილდობ ლუარის არმია, დაუნიშნა სარდლათ დენერალი მრეღ-დ-ე-პ-ა-ლ-ა-დ-ი-ნი და შეატაკა ნემცებს. თითქმის პირველ ომშივე დაბა პულმიგოში ნემცები ძლიერ დაამარცხეს და ქ. მრეღ-ე-ანი დაიბრუნეს. შემდეგ რამოდენიმე დღისა მოხდა ომი ქ. დრე-ში და მის მახლობლათ, აქ ოთხასმა კაცმა სამა ათასი ნემცეა სრულიად ამოსრისა. სადაც კი დაეტაკებოდნენ ერთმანეთს ყოველგან უზოგველი ომი და საშინელი სისხლის ღერა იყო.

ბამბეტა როგორც ელვა დაჰქროდა ერთი დებარტამენტიდან მეორე-

დებით: ვიტყვით, რომ ორსავე ჩვენ წინათ წარმოდგენაში ესცდებით.

იმ ახალი წესდების ძალით, რომლითაც, როგორც უ. კორრესპონდენტი აპობს, სასულიერო სასწავლებელს უნდა ჰყვანდეს 160 შეგირდი, — დადებულია, სხვათა შორის, რომ პირველ კლასში უნდა მიიღონ არა ისეთი ბავშვები, რომელთაც, — როგორც ახალ წესდებამდის იყო, — იჩი-მინჩი არა იცოდნენ, არამედ ისეთები, რომელნიც მშვენიერათ (წყალივით) უნდა კითხულობდნენ რუსულს და ქართულს, იცოდნენ ორსავე ენაზედ ზებირად რამდენიმე ლოცვები, სწერდნენ და სხვანი. ამასთანავე ნუ დაიფიქვებთ, რომ ამ ცოდნით შესაძლოა ბავშვი შევიდეს ნაჩვენებ კლასში მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას უწყებული წლოვანება აქვს (რასაც ძველი წესდებულება სრულიებით ყურადღებას არ აქცევდა) და თუ გადასცდა ამ წლოვანებას, მაშინ მშვიდობით! აღარა ეშველება რა ბავშვსა, გარდა იმისა, რომ მუყდლიან მეორე კლასის ეგზემენია დაქიროს სულ სხვა მოთხოვნილებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს საქართველოში ამ ნაირი, წესდებულება ჯერჯერობით ძნელათ გაამართლებდა თავის

ში, ამხნეებდა მცხოვრებლებს და ახალგაზდა ჯარს; ყველგან სთესადა პატრიოტულ გრძობს და მამულის სიყვარულს.

შ ა ტ ი ლ ჰ ო ნ შ ი მ არიბალდის ჯარმა 800 პრუსიელი შეიპყრა.

ნ ო რ მ ა ნ დ ი ა შ ი სოფლის მუშა ხალხი ენერგიულათ ხედებოდა მტერს.

ამავე დროს ბამბეტამ ქ. ლიონში, ტულუზში, ლაროშელში და სხვაგან ახალი ჯარის გასწრთენელი ბანაკები დააწესა და 23 ნოემბრისთვის თითქმის ყველგან მზათ იყო.

25-ს, შემდეგ გაცხარებულის ომი-სა, ქ. ლუარი ნემცებს დაატოვებინეს; 27-ს ა მ ი ე ნ შ ი დაამარცხეს; 28-ს ბონ-ლა-როლანდამ ნემცები განდევნეს.

1-ს დეკემბერს დენერალი შანზი დაეცა ნემცებს ბიონვილში და საშინლათ დაამარცხა.

ბამბეტამ რომ დინახა ამდენი მოულოდნელი გამარჯვება, ეგონა, რომ საფრანგეთს მოუბრუნდა ბედი, ეგონა, არა თუ დაამარცხებდა მტერს, არამედ უნდა ამოწყვიტნა სრულიად სისარულით საესემ და დაიმედებულმა

ვის დანიშნულებას და მიზანს, ძნელათ გამოიღებდა ნაყოფს, რადგანაც აქ მომეტებული ნაწილი სამღვდლოებისა იმ განათლების ხარისხზედ სდგას, რომ არამც თუ რუსული ენა ასწავლონ თავის შეილებს, არამედ ქართულსაც ვერ ასწავლიან.

აქის გამო უწმინდეს სინოდს საჭიროდ უნახავს ნება მისცეს სამღვდლოებას დააარსონ სასულიერო სასწავლებელთან მოსამზადებელი კლასი, თუ ამას საჭიროდ დაინახამენ.

ახლა უ. შორანსონდენტს ვკითხავთ: აქვს თელავის სასწავლებელს მოსამზადებელი კლასი, რომელზედაც დამოკიდებულია, ჩვენის აზრით, მოსპოს ის გაჭირება და დაბრკოლება, რაც გზაზედ უხედავ მოუშვადებელს ბავშს პირველ კლასში შესვლის დროს და რაც ხშირად ხდება ხოლმე მიზეზათ მისის სასწავლებელში შეუსვლელობისა, თუ არა?

არა! ჩემის აზრით, ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ რაც ახალი წესდება დაწყობილია, თელავის სასულიერო სასწავლებელს 40-50-ზედ მეტი შეგირდი აღარ ჰყოლია.

საჭიროდ ერაცხავთ ვიკითხოთ: რით აიხსნება, რომ ზემოხსენებულ სასწავლებელს არა აქვს აქამომდე მოსამზადებელი კლასი? იმით, რომ


მომავალზე, მან წარმოსთქვა შემდეგი მათური სიტყვა:

„მხლა ცხადია თუ რა განსხვავებაა დესპოტსა, რომელმანც პირადი სარგებლობისთვის ქვეყანა ჩაადლო ომში და ნაცისა შუა, რომელიც ლომივით იბრძვის სამშობლოსთვის.“

მაგრამ სად იყო დასასრული? არ იცოდა — თუ მალე მოეღებოდა ბოლო ყველა მის შრომას, მოლოდინებს და მასთან საფრანგეთის ბედსაც.

ბედი ისევე უკუღმა დეტრიალდა: დენერალმა მრეღ-დ-ე-პალანდინმა ორასი ათასის კაცით და ხუთასი ზარბაზნით ვერ გაბედა ნემცებთან ხელმეორეთ შებმა. აი ნაპოლეონის გაზრდილი! მკის ველზედ თავის გამოჩენის მაგიერ, ესენი ლაქიობაში უფრო მარჯვე იყვნენ. ისევე ნემცებმა ჩაიგდეს ხელში ქ. მრეღ-ანი, ეს უპირველესი საოპერაციო წერტილი. როგორც კი შეიტყო ბამბეტამ ეს ამბავი, დაუყოვნებლივ გამოსცვალა და მაგიერ დენერალი შანზი დანიშნა.

ამნაირათ ტყვილა უბრალოთ, უომრათ ქალაქის დატოვებამ მთელი საფრანგეთი შეაწუხა; მაგრამ კი-



სამღვდლოებას საქიროთ არ უნა-
ხამს, თუ იმით, რომ შეძლება არ
აძლევს მას ნებას დაადგინოს ეს
კლასი? **იხილეთ კონსტანტინე**

პირველ კითხვას საქაოთა ხსნის
ზნობით ნაჩვენებნი გარემოება, რომ
მოუშვადებელს სამღვდლოების ბე-
შევებს პირველ კლასში შესვლის დროს
უხვდებათ გზაზედ აუცილებელი გა-
ჭირება და დაბრკოლება.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ჩვენ
ვიტყვიან შემდეგს:

ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქ-
როთ, რომ დაბრკოლება მოსამზა-
დებელი კლასის გამართვაზედ სილ-
ნალ-მელაის სამღვდლოებას ნიე-
თიერის საშუალების მხრით ჰქონო-
დეს, რადგან ვიცით, რომ ეს სამ-
ღვდლოება მთლიანად უფლის სამ-
ღვდლოებაზე უფრო ღარიბი არ
არის და ამის სასულიერო შკოლას
კი აქვს მოსამზადებელი კლასი.

ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, ის
არის, რომ უფ. ზედამხედველებს მე-
ლაის სასულ. სასწავ. ჰქონათ *)
(და აქვს დღესაც) ისეთი ჩხუბი და
გაუთავებელი უსიამოვნება აქაურს
სამღვდლოებასთან, რომ მზათ ყო-
ფილან (და არიან) დაამტკიცონ ერთ-
მანეთს თავ-პირი, არამც თუ დაეთან-
ხმენ ერთმანეთს და შეერთებულის
ძალით დაადგინონ რაიმე სასარგებ-
ლო სასწავლებლისთვის!

აი, ეს გარემოება უკლავს სამღვ-
დლოებას ყოველ სურვილს, შესწი-
როს უკანასკნელი გროშიც თავის
შვილების აღზრდას და აი ამით აიხ-
სნება, რომ აქამომდე მელაის სას-
წავლებელს არა აქვს მოსამზადებელი

*) რეფორმის შემდეგ მელაის სასუ-
ლიერო სასწავლებელში ოთხი ზედამხედველი
გამოიკვალა.

კლასი და, ამის გამო, არცა ჰყავს
სრული კომპლექტი შეგირდთა.

რაც შეეხება უ. კორესპონდენ-
ტის სხვა საბუთებს, მოყვანილს იმ
აზრით, რომ გვიჩვენოს უსარგებლო-
ბა მელაის სასულ. სასწავლებლისა,
ჩვენ ვიტყვიან იმას, რომ ისინი უფ-
რო ხსენებული სასწავლებლის ზე-
დამხედველის პიროვნებას შეეხებიან,
ვიდრე თვით მელაის სასწავლე-
ბელს და იმის უსარგებლობას; ამის-
თვის ჩვენ საქიროდ არა ვრაცხავთ
იმათზედ ლაპარაკით თავი გავიცხე-
ლოთ. მხოლოდ იმისთვის, რომ
მკითხველი დაეარწმუნოთ ამ ჩვენი
სიტყვის სიმართლეზედ, ნიმუშათ უ-
ჩვენებთ იმის მოყვანილი საბუთე-
ბიდან შემდეგს:

„მერა აქვს, ამბობს კორესპონდენტი,—
მელაის სასულ. სასწავლებელს ხეირიანი
და დროითი მიმოხვრა თავის მთავრობასთან
და მეწიფეებთან“ და სხვ.

მართი ვკითხოთ: ვის ეკუთნის, თუ
უ. ზედამხედველს არა, რომ ხეირი-
ანათ და დროით მთავრობასთანაც
მიიქცეს და მეწიფეებსაც მოსთხო-
ვოს, რაც ნებაეს?

დასასრულ ვიტყვიან, რომ იქ, სა-
დაც საზოგადო მოქმედ პირთ შუა
ჩხუბი და არეულებაა, სადაც გამქ-
რალია კაცობრიული სიყვარული
და კავშირი, სადაც ყველა წვერი
საზოგადოებისა პიროვნულ სარგე-
ბლობას და ინტერესს თავიანს სცე-
მენ და საზოგადო კი უკანა პლან-
ზედ უდგათ, იქ, ვამბობთ, არ უნდა
ველოდეთ, რომ სასარგებლო რამ
გაკეთდეს.

ამისავე მგზავს უნუგეშო სანა-
ხაობას წარმოგიდგენს დღეს ჩვენ
მელაის სასულიერო სასწავლებე-
ლი და თუ შემდეგისთვისაც ესე
დარჩება და არ გამოუჩნდება მას

პატრონი, მაშინ ჩვენ გადაწყვეტი-
თ ვიტყვიან, რომ მომავალშიც არა
მოგველის რა მისგნით სასუგეშო.

მართი უკანასკნელი სიტყვა: ყვე-
ლას შეეძლო აღედრა კითხვა მელა-
ის სასულიერო სასწავლებლის გა-
უქმებაზე, ყველას — და უფ. ლაფი-
რაშვილს კი არა....

ილ. ნატროვი

დღიური

□ ჩვენს გაზეთში არა-ერთხელ
დაბეჭდილა ქიზიყელების საჩივარი
იქაურს მამასახლისებზე და გზირებ-
ზედა. აი ანლაც ერთს საზიზარს
ამბავს გვწერენ: ერთს მოხუცებულ
დედა-კაცს გადასახადი თავის დრო-
ზედ ვერ მიეცა და მხოლოდ ამის
გამო გზირებს დაეჭირათ და იმდენი
ეცემათ, რომ რამდენიმე დღის შემ-
დეგ ეს საწყალი დედაბერი მომკვდ-
რა.

პორესპონდენტი გვთხოვს მივა-
ქციოთ ყურადღება იმ გარემოებას,
რომ ვისაც ორი თუმანი აქვს სა-
ხელმწიფო ხარჯი შეწერილი, გზი-
რები ჩაუდგებიან ოჯახში, რაც რამ
გაანჩით შეუტამენ, შინაურს ავეჯეუ-
ლობას გაუყიდიანო და აწაიარად
წმირად სამი-ოთხი თუმნის ზარალს
აძლევინო. სოფლებების ცემა-ტყევა
ამათგან და კბილების ჩამტყევა—
აქ ჩვეულებრივი საქმე არისო.

□ ჩვენი გორელი კორესპონ-
დენტი გვწერს: „მოიმატა ღამემ და
აქაურმა ქალებმაც მოუმატეს ლოტოს
თამაშიო.“ ეს კიდევ არაფერა, მაგ-
რამ უბედურება ეს არისო, რომ ისე
თამაში არ გათავდება, რომ ქალებს
ჩხუბი არ მოუვიდეთ და კარგა-ლა-
ზათიანათ არ გალანძღონ ერთმანე-
თიო....

დღე იყო იმედი: ახლოგზდა ღენე-
რალმა კ რ ე მ ე რ მ ა არა-ერთხელ
დაამარცხა ნემსები.

ჩრდილოეთის ჯარის სარდალმა
ღენერალმა ჟ ე დ ე რ ბ მ ა რამოდენ-
იმე შესანიშნავი ომი მოიგო. აღ-
მოსავლეთისკენ ღენერალი ბ უ რ ბ ა-
კი აწუხებდა ნემსებს. მ ა რ ი ბ ა ლ-
დ ი მ სამი დღის განუწყვეტელის
ომის შემდეგ ქ. ლიჟონიდან განდე-
ენა ნემსები და თვითონ დაიკავა.

ღენერალმა შანზიმ, შემდეგ რა-
მოდენიმე შეტაკებისა, ორი უმთავ-
რესი ძალა ნემსებისა, გერცოგი მე-
კლენბურგისა და პარლ-ჰრიდონის
ჯარები, შეიტყუა ისეთს ალაგას, სა-
ცა თითქმის უნდა ამოეწყვიტნა სრუ-
ლიად. პირველი ნაწილი ოპერაციი-
სა კარგათ შეასრულა; ჯარი დაასა-
ფრა მ ა ნ ის მალღობებზე და იქი-
დან გამართა გაცხარებული სროლა.

მომი გაგრძელდა დილიდან საღამომ-
დის; ნემსებმა დაიწიეს უკან, გამარ-
ჯვება ფრანკუზებს რჩებოდა და მა-
შინ, როდესაც უკანასკნელი იერი-
ში იყო საქირო, (ეს ორი უპირვე-
ლესი ჯარი ნემსებისა რომ დაღუ-
პულიყო სრულიად), უეცრათ ო ც ი
ა თ ა ს ი კაცი მორბივანის მობილე-

ბი, როგორც კი მათ რაზმში ჩაეარ-
და პირველი ყუმბარის ტყვია, დაფე-
თდნენ და გასწიეს უკან შეშინებულ-
ნი; ამათ უკან დაწვევამ მთელი ჯარი
გაიყოლია და ომის მოგების მაგიერ
საშინელი დამარცხებული და დაშლი-
ლი დაბრუნდა შანზი თავის არმიით,
რომელიც შეადგენდა უკანასკნელ
საფრანგეთის იმედს.

ამ ჯარის დამარცხებამ უკანასკ-
ნელი იმედი დაუკარგა საფრანგეთს.
გამბეტას კი ჯერ კიდევ არა დაჰ-
კარგვია სრულიად იმედი, კიდევ
იყო მისთვის საშველი, კიდევ ჰქონ-
და იმედი, იმედი იმაზე, რაც შეად-
გენს ყველა ფრანკუზისათვის, ყვე-
ლა პატრიოტისათვის განუსაზღვრელ
სიამაყეს—პარიჟზე.

მხოლოდ გადავივლოთ თვალი, თუ
რა მდგომარეობაში იყო პარიჟი და
რამდენათ საიმედო იყო ის ქვეყნი-
სათვის.

VII

პარიჟს ყოველთვის პირველი ალა-
გი ეჭირა საფრანგეთის ისტორიაში
და მასზე იყო დამოკიდებული მთე-
ლი საფრანგეთის ბედი და უბედურება.
პარიჟის გადაწყვეტილობა საფრან-
გეთისათვის კანონათ ითვრებოდა;

და ვერვინ, ვერც ერთი კუთხე
უთანხმოებას ვერ განუტხადებდა.
მსლაც საფრანგეთის ხსნა მასზე იყო
დამოკიდებული და კიდევაც იხსნიდა,
უნიჭო კაცების ხელში რომ არ ჩა-
ვარდნილიყო.

ჟულ-ჟაფრი, გარეშე საქმეების მი-
ნისტრი, პარიჟს და მთელს საფრან-
გეთს მითი აიხედებდა, რომ „ერთი ფე-
ხის დაღმას მიწას და ერთი ციხის ქვას
საფრანგეთისას არავის დავანებებო;“ ღენე-
რალი ტროშუ, — პარიჟის ლუბერნა-
ტორი და მასთან მხედართ-მთავარი,
იძახდა ყოველ შემთხვევაში, რომ
„პარიჟის ლუბერნატორი ქალაქის კარს მტერს
თავის დღეში არ გაუღებსო“ ეს სიტყვა
იმათ ნამდვილ შეასრულა: როცა კა-
რების გაღების დრომ მოაწია, მან
სამსახურს თავი დაანება!

ამ გვარი კაცების ხელში იყო
პარიჟი. მარტო ცარიელი სიტყვებით
ატყუებდნენ ქვეყანას.

პარიჟს სურდა ომი, და მის მაგი-
ერ ოთხი თვე ნახევარი ძილში გა-
აჭარებინეს. 19 სექტემბრიდან 1870
წ. 2-ს თებერვლამდის 1871 წ. პა-
რიჟი ნემსებისაგან შეზღუდული იყო
ყოველ ის მხრით. ამ დროის განმავა-
ლობაში ორი მილიონი კაცი თავს

აქედამ ჩვენს კორესპონდენტს
ფილოსოფიური დასაშვებობა უკავს,
რომ ჩვენ, არა თუ საქმე, უსაქმო-
ბაცა და თამაშიც ვერ მოგვიხერხე-
ბია თანხმობითაო!..

□ ჩვენი ქალაქში არის ამ ქამად
ერთი შესანიშნავი იტალიელი არტი-
სტი—ჟელიჩე ძალდერაჩი, რომე-
ლიც თავის მოგონილს ახირებულს
ინსტრუმენტზე უკრავ: შორტოპია-
ნოს მ.გავს ინსტრუმენტზე 52 სხვა
და სხვა სიდიდე და სიქე ცარიელი
სტაქნები და ბაკალებია დადგმული.
პრტიკტი დასველებული თითით შეე-
ხება ამ სტაქნებს და მუხუკალური ხმე-
ბი გამოაქვს.

შას თითქმის მთელი შეროპა დაუ-
ვლია: პარიჟში, მენაში, პეტერბურგ-
ში, მოსკოვში და ბევრ სხვა დიდ
ქალაქებში მიუცია კონცერტი და
აქაური გაზეთები ყველანი დიდის გა-
კვირებითა და ქებით იწერებიათ ამის
ახლოს ხელოვნებაზე. საუცხოვო ხმები
გამოდის ამ მინის მუზიკიდანო—ასე
იწერებიათ. ინსტრუმენტს იტალიანუ-
რად ჰქვიან „Melodium a nappi Ar-
monici.“

ჟელიჩე ძალდერაჩი მომავალ პა-
რასკვეს ჩვენს ქალაქში აპირებს კონ-
ცერტის მიცემას და იმედი აქვს, რომ
ამ კონცერტს არა თუ მუხიკისა, არა-
მედ უბრალო ცნობის-მოყვარე ხალ-
ხიც ბევრი დაესწრება.

□ ზემო-იმერეთის ერთი სოფლის
(საქარის) შკოლის მასწავლებელი, უ.
შილ. ბარბაქაძე, როგორც არა-ჩვეუ-
ლებრივ შემთხვევას, გვაცნობებს, რომ
ამას წინათ ამ სოფლის ერთი აზნაუ-
რიშვილის ცოლს დაებადა ყმაწვი-
ლი, რომელსაც გულზე რაღაც ცხო-
ველის თავი ებოა. მინდოდა მენახა
ეს ბავშვიო, მაგრამ შობის შემდეგ,


იჩინდა—ვინ იცას რა ნაირათ! მა-
მოსცადა ყოველგვარი ფიზიკური
და მორალური შეწუხება; მოუახ-
ლოვდა ის დღე, როცა სარჩო სრუ-
ლიად უნდა შამოლეოდა; მაგრამ
ამას ყოველისფერს ითმენება, ჰქონ-
და კიდევ იმედი მტრის დამარცხები-
სა, კიდევ იყო მასში ის უზენაესი
პატრიოტული გრძნობა, რომელიც
ამხნევებდა მას და ათმენინებდა ყო-
ველს გაჭირებას.

ამ იმედს, ამ პატრიოტულ გრძნო-
ბას და მასთან ფრანკუზის თავის
მოყვარეობას დაუმატეთ ოთხასი
ათასი ჯარი, რომელიც პარიჟში იყო
და მაშინ დაინახათ სრულს უნიჭო-
ბას მართებლობისას და უფრო ღე-
ნერალი ტროშუსას, რომლის ხელ-
ში იყო ეს აუარებელი ძალა.

თუმცა ამ ოთხას ათას კაცში
ნახევარიც არ იყო ომში გამოცდი-
ლი, მაგრამ მამულის სიყვარული
და უკიდურესი გაჭირება ღომათ
გახდინდა და თუ მაინცა და მაინც ვე-
რას შეიძლებდა, მაინც იმას არ
ათქმევინებდა არავის, რომ უკან
დაიწია და თავის მოვალეობა არ
შეასრულაო!

დ. დ.

(მარტოვლება)



მესამე დღესვე მოკვდა და ვერ მო-
ვასწარიო.

„დროების“ კორესპონდენცია

სამეგრელო, 10 აგვისტოს

წელს განკარგულება იყო, რომ
ძუთაისის ლუბერნიის მცხოვრებთ
გაეზომათ თავიანთ ადგილ-მამული.
ეს იყო, როგორც ისმის, მისთვის,
რომ მომავალ წლებში გრობის შე-
მოღება სურთო ჩვენში ისე, რო-
გორც რუსეთშიაო.

თუ ჩვენშიაც ერობას იტყვი
დანიშნულება ექნა, როგორც რუ-
სეთის ერობას აქეს, იმედია, ჩვენი
ხალხი ცოტა არ იყოს უკეთესს დრო-
ებას მოვსწრობა.

დღეს თითქმის გათავდა ეს ადგი-
ლების ზომეა.

მაგრამ სამწუხარო სურათს ეხე-
დავთ აქ. ჩვენ იმას არავითარ შემ-
თხვევაში არ ვიფიქრებდით, თუ
ჩვენებურ გლეხს ოთხ-ხუთი ქცევა
ადგილი მაინც არ ექნებოდა; მაგრამ
ამ გაზომვამ კი ნამდვილად შეგვატყ-
უობინა, რომ აქაურ გლეხს, არა თუ
ოთხი-ხუთი ქცევა მიწა, ხშირად ნა-
ხევარი ქცევაც არა ჰქონია.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ საზო-
გადოებაში, რომელიც შესდგება ექ-
ვასანი კომლის კაცისაგან, ორმოც
კომლს თავის საკუთარი ალაგი არ
აქეს, სახლ-კარი ნაქირავებ ადგილ-
ზე აქეთ.

მსრეთი საწყალი გლეხი იხდის
სხვა და სხვა გადასახადს. საიღამ „გა-
ქედოს ფულები“ საწყალმა, რო-
გორც თვითონ ამბობს? ხელობა
არაფერი იცის, ნასწავლი არ არის,
მუშათ სხვას დაეჭირავოს, ცოლ-
შვილს რაღა უყოს?

მსეც იქნა იეთ სახეში, რომ თი-
თოეული გლეხი თორმეტი მანეთი-
დგან ოც მანეთამდის, სხვა და სხვა
მოთხოვნილებებისათვის ფულს იხდის.

ამ გვარ მდგომარეობაში ჩავა-
დნილ გლეხს ვერც შენი ბანკი
იხსნის და ვერც კარგი მოსაველიანი
წელიწადი. ამის მხსნელი იქნება
მეურნეობის სწავლა შკოლების სა-
შუალებით და გადასახადის შემცირება.

ამის ასრულება შეუძლიან ე რ ო-
ბას. მრობა გამართავს სამეურნეო
შკოლებს. მრობის დროს უადგილ-
მამული გლეხს აღარც გარდასახდი
ექნება. ის ასრულებს მარტო თავის
შინაურ ოჯახის მოთხოვნილებას.
აქ ექმნება მას, როგორც საშუა-
ლება, ბანკი. მათი სიტყვით, ჩვენი
სანატრელი არის მარტო ის, რომ
ერობა ისე მოიქცეს და ის დანიშ-
ნულება ჰქონდეს, როგორც რუ-
სეთის ერობას აქეს. ეს არის ჩვენი
იმედი, თორემ ამ გაჭირვებიდან
ახლანდელი შკოლები ვერ გვიხსნი-
ან, ისე როგორც ზოგიერთებს ჰგო-
ნიათ.

ანთიმოზი

პიატიგორსკი, 3 ივნისს

პიატიგორსკში ამ ქამათ უცხოს
ადგილებიდან მოსულნი, სწეულები

განსაკურნებელათ ორისავე სქესისანი
ორი-ათას-ორას (2200) სულამდის
ითვლება, გარდა სხვა და სხვა ირაო
მაწანწალა პირებისა, რომელთ რიც-
ხეი თითქმის სჭარბობს ამ ზემო
მოყვანილ რიცხვსა.

უნდა მოგახსენოთ, რომ, პია-
ტიგორსკი, კურსის დროს მშენებნიერ
ბუნებასა და მხატვრობას წარმოად-
გენს. რომ გაიხედოთ თავიდან ან
ბოლოდამ ბულვარზედა, თვალი უ-
კეთეს სანახავს იშვიათათ ნახავს. რა
ყალიბის ადამიანი უნდა კაცსა, რომ
აქ არ შეჰხედეს! სულ სხვა და სხვა
ფრატ და მოღაზედ ჩაცმულნი: ზო-
გიერთი „ბუასავით“ თავით ფეხება-
მდისინ წაბურულა და ისე დაიარება;
ზოგი კოჭინასავით გაკეთებულს
გორგორებზედა ზას და ისე დაგო-
რავს, ზოგი ყვარჯნების შემწობით
აბიჯებს და სხ...
ქალების შესახებ მხოლოდ ეს შე-
მიძლიან ვსთქვა, რომ, აუთრევიათ
შლიეფები ფარშევანგის ბოლოსავით
და ჰგვიან ქუჩება და ბულვარს.
ხანდისხან ასეთ მტერის კორიანტელს
დააყენებენ ხოლმე, რომ რაღა მო-
გახსენოთ!

ზოგიერთები, რომელთაც თავის
დღეში არ უნახავთ ამ ნაირი საზო-
გადოების ყრილობა, გაშტერებულის
თვალებით შასტყერიან ყველა გამ-
ვლელ-გამომვლელებს.

აქ კურსის დროს, ავთმოყვების
შესაქცევრათ და გულის გასაყოლე-
ბლათ (უფრო კი თავიანთ ჯიბის
გასასქელებლათ), ყოველ ცისმარეს
დღის განმავლობაში სულ სხვა და
სხვა წარმოდგენები იმართება. მრ-
ჯელ უ. სოკოლოვიც კანცერტში
შოეჩენა აქაურებს ცენაზედ, თავი-
სის კომიკურ ლექსებითა და ისევე
ჩქარა წავიდა.

ყოველ დღე დილითა და საღამო-
თი მუზიკა იკერის; ერთი რაღაც
დასტა მოლაღეს და სახელათ „ბო-
გემცელები დაარქვეს. როცა ესენი
სკრიპკაზედ უკრავენ, იმ დროს გა-
რეშე მსმენელთ, ვისაც მცირედი
მუზიკალური სმენა აქეს გახსნილი,
სწორეთ გულს აუჩოჩქოლებს და
წარმოუდგენს ჭრიჭინა ჭიებს, ზაფ-
ხულის პაპანაქება დღეში, მინდერათ.
ამას წინათ აქ ბულვარზედ დაჰ-
ყვანდათ სათამაშოთ მიმუნები და
ძალიან გაკვირებულები იყვნენ რუ-
სები. მეც ძალიან გაცეცხული ვიყავ
ამათ ისე გაკვირებულზედ...

მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ
ყველაზედ შესანიშნავი ეხლა აქ ეს
არის, რომ ერთ ვილაქას სამი პატა-
რა ფინია ძალდი ჰყავს, რომელიც
როიალზედ უკრამენ ინგლისურს და
ნემეცურ ნაციონალურს გიმნს და
სხვა და სხვა იტალიანურს ოპერე-
რებს და ზედაც დაზმუკუნებენ კარ-
გი მომღერალივით; სტუკოლკას თა-
მაშობენ ძალიან ხელოვნურათ, რაც
უნდა გამოჩენილი ყომაზბაზი მოთა-
მაშე იყოს, არ ჩამოუფარდებიან; წე-
რა, კითხვა და ანგარიშში ხომ ისე
არიან გავარჯიშებულნი, რომ რაღა
გითხრათ! რაც შეეხება ლოტოს თა-
მაშს, არც ამაში ჩამორჩებიან ჩვენს

გამოჩენილ მელოტრებს. ეს კი
გახლავსთ, რომ მეტყველება არა
აქესთ, და თუ სხვამ ამოიკითხა, ესე-
ნი ქაღალდზედ დაჰსამენ. შეშმარი-
ტათ, ეხლა კი სწორეთ აღარა ღირს
ლოტოს თამაში, რადგანაც ძალღებ-
საც კი დაუწყეიათ, და ვისაც კი
მცირედი რამ თავ-მოყვარეობა აქეს,
არა მგონია, რომ იმან ითამაშოს
ლა....

ბ. მრემელი

რუსეთი

რუსულ გაზეთებში იწერებიათ,
რომ, გზების სამინისტროს თაოს-
ნობით, რუსის საზოგადოება ეაქ-
რობისა და მდესის რკინის გზისა*
აპირებს ცეცხლის გემების გამართვას,
რომელიც დანიშნულ დროს იე-
ლიან შუბანზე -- ჯერ მთილისის
სტანიცამდი და მერე ძაეკასის სტანი-
ცამდი, ე. ი. იმ ალაგამდი, სადაც
როსტოფო - მლადაეკასის რკინის
გზა მდინარე შუბანს გადასჭრის.

შინანის სამინისტროში იხილ-
ვენ ამ ქამად ახალს წესდებას შუბა-
ნის მდინარით ბაქომდი საქონლის
გადატან-გადმოტანის შესახებ.

ნიეგოროდის გუბერნიის ერო-
ბას დაუმტკიცებია ზოგიერთი სოფ-
ლების გადაწყვეტილება, რომელიც
იქაურ სამღვდლოების მდგომარეო-
ბას შეეხება. ამ გუბერნიის სოფლის
საზოგადოებათ მიუღიათ რა მხედვე-
ლობაში, რომ ადგილობრაივი სამღ-
ვდლოება ძალიან ცუდს მდგომა-
რეობაში არის, ზოგს გადაუწყვეტათ,
რომ წელიწადში მღვდელს თითო
ფუთი პური ეადლიოთო და ამასთან
თითო სულზე ათი შაურიო; სხვებს
ფულად გადაუჭრიათ; ზოგიერთებს
კი მღვდლისთვის და დიაკონისთვის
სახლის მიცემა და ამასთან საზრდოს
გაჩენაც დაუდვიათ და სხვა შემოსა-
ვალიც ექნებაო.

1868 და 1869 წლებში პოლტა-
ვის გუბერნიის გლეხებში გავარდნი-
ლა ხმა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე
აუარებელი მიწა არისო და რუსებს
მუქთად ურიგებენო. ამის გამო
ბევრი გლეხი აყრილა ამ გუბერნია-
ში, ადგილ-მამული და სხვა ყველა-
ფერი გაუყიდნიათ და წამოსულან.
მაგრამ მაშინ შინაგან საქმეების სა-
მინისტროს განკარგულება მიუცია
სოფლის საზოგადოებისთვის, რომ
გლეხებს პასპორტს ნუ მისცემთო,
მმართველობის ნება-დაურთველად
არავის არა აქეს უფლება სხვაგან
გადასახლებისაო. ამბობენ, რომ მას
აქეთ ზოგიერთი სოფლები კიდევ
მაინც არ იშლიან აქეთკენ გადმო-
სახლებას.

უცხო ქვეყნები

საშრანგეთი. შემომოყვანილ

ამბავს რამდენიმე დღით აულაპარაკე-
ბია პარიჟის საზოგადოება და გაზეთე-
ბი: ჰოველ წელიწადს, ამ დროს, პა-
რიჟში და მთელ საფრანგეთში ჯილ-

ღოს ურიგებენ იმ გემნაზიის (კო-
ლეჟის) და სხვა სასწავლებლების შე-
გორდებს, რომელიც წლის განმა-
ვლობაში გულსმოდგინეთ სწავლო-
ბენ. ამ დღეს შეგირდების შობობლე-
ში და ბევრი ხალხი ესწრება და მას-
წავლებლები (პროფესორები) სიტყ-
ყას წარმოთქმენ ხოლმე უფრო ხში-
რად ისეთს საგანზე, რომელიც გა-
ნათლებას შეეხება; ხანდისხან ამ სიტყ-
ყას პოლიტიკური მნიშვნელობაც
აქეს.

ამისთანა ჯილდოს დარიგება უნ-
და ყოფილიყო აგვისტოს 3-ს შაბ-
ტალის გიმნაზიაში, რომელიც პარი-
ჟის შემოსავლით არის გამართული
და რომელსაც ამ ქალაქის მუნიცი-
პალიტეტი (გამგეობა) განაგებს. დი-
ლით, როცა ხალხი მოგროვდა და
ყველაფერი მზათ იყო ჯილდოების
დარიგებისათვის, უეცრად პრეფექტი-
საგან ბრძანება მოვიდა, რომ დღეს
ჯილდოების დარიგება არ იქნებო-
და შეკრებილება უნდა დაიშლოსო.
ზანკარგულება ასრულეს. მაგრამ
ქალაქი გამგეობა (დუმა) იმწახსევე
შეიკრიბა და ერთ ხმათ გადაწყვეტეს,
რომ უფ. პრეფექტს განკიცხვა გა-
მოუცხადოთო; ამას გარდა მუნიციპა-
ლიტეტის წევრებს, რომელიც ამ
სასწავლებლის გამგებლებად იყვნენ,
სამსახურიდან დათხოვნის ქალაღი
შეუტანიათ.

ამბობენ, რომ ამ მოულოდნელი
განკარგულების მიზეზი ის იყოო,
რომ ბჰიუჭჭეს წინათვე შეეტყოო,
რომ ამ სასწავლებლის ერთს გამგე-
ბელს, ლუაზას, რომელიც რესპუ-
ბლიკელია, იმ დღეს სიტყვა უნდა
წარმოეთქვაო, შეეშინდა -- ვაი თუ
მმართველობის წინააღმდეგი რამ
სიტყვასო და ამიტომ მოშალა ჯილ-
დო, დარიგება დანიშნულ დროსაო.
პარიჟის გაზეთები სასტიკად ჰკიც-
ხავენ სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს
ამ განკარგულებისათვის.

ოსმალეთი. მრთს მენის გაზეთ-

ში დაბეჭდილია, რომ ბერცოგოვი-
ნის არეულობა მხოლოდ შინაგა-
ნი მიზეზებით არის აღძრულიო, უც-
ხო რამ გარემოება ამ საქმეში სრუ-
ლებით არ გარეულაო. ამ გაზეთისა
სიტყვით, რუსეთის, ბერმანის და
აესტრიის იმპერატორებმა გადაწყვი-
ტესო, რომ ყოველს შემთხვევაში
ოსმალეთი იმავე სამზღერებში უნდა
დარჩეს და იმავე მდგომარეობაში,
როგორაც ახლა იმყოფებაო, ჯერ
დრო არ არისო, რომ საზოგადოთ
აღმოსავლეთის საქმეები როგორმე
შეიცვალოსო.

თუმცა სერბიის მთაერობას
უიციელი ბრძანება გამოუტია, რომ
აჯანყებულ ბერცოგოვინელებს ხე-
ლი არ მოუწყუოთო, მაგრამ, როგორც
ამბობენ, ამ ქვეყნის სამზღერებიდან
და აგრეთვე ღალმაციიდან ძალიან
ბევრი გადადიან თურმე ბერცოგო-
ვნაში და თავიანთ მოძმეებს ეხმარე-
ბიან.

თუმცა აჯანყებულები რიცხვით
ძალიან ცოტანი არიან და არც საკ-
მაო თოფ-იარაღი აქეთ, მაგრამ, რო-
გორც ისმის, ჯერ-ჯერობით ძალი

ისხილება

თულისში შექმნილმა... ბაში, მანოვიტ...

საყმაწვილო კონა

პირველ-დაწყებითი მოთხოვნებისა... შედგენილი იაკობ...

უთ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ის... შიღება მგორე...

მარჯვეთ არიან და ბევრ ზიანს აძ... ლევენ ოსმალოს ჯარს...

საბერძნეთი. ათინიდან იწერე... ბიან, რომ ამორჩევიები...

იტალია. ჩივიტა-ვეკიიდან ერთს... ინგლისურს გაზეთში...

იტალია არავის არ ეომება; მგორამ თუ... ბრძოლა აუცილებელი შეიქნა...

საკაჯრო

აქვასის სამხედრო უწყებისაგან გა... მოცხადებულია დაწვრილებითი...

აქვასის მავრის საინჟინერო სა... თველო გამოიწვევს მსურველებს...

რუმბისა, აშენება ახლის ერთი ეტაჟინი... ფლიგელისა ლაბორატორიისათვის...

აქვასის სამხედრო უწყებისაგან... დებს, რომ აპერონის პოლიცისათვის...

აქვასის სამხედრო უწყებისაგან... მატრობა დანიშნულია თფილისში...

ბანსხალბანი

ბალანსი ოქმისის გამსახელებელ-შემნახველი... ამხანაგობისა

1-ს იანვრიდან 1-ს ივლისამდის 1875... წლისა. (აღუფნებულია 21-ს მარტს 1874 წ.,...

Table with columns: აქტივი, მან., კ. containing financial data for active items.

ბალანსი. 7569 77

პასივი

Table with columns: პასივი, მან., კ. containing financial data for passive items.

ბალანსი. 7569 77

შენიშვნა: გამგეობა შეიყრე... ბა ხოლმე კვირაობით და ორშაბა...

თვითონ იღებს სარგებელს... გასესხებულ ფულზედ 12% ანუ ას...

გამგეობი: მ. ჭადაგოვი და მ. ოსპოვი

შაბას

სოლის საყმაწვილო ბაღში და პირველ... დაწყებითი შკოლაში...

შიღება ყმაწვილები არა უხსნიერეს... თორმეტის წლისა, შემდეგის პირობით:

- 1) საყმაწვილო ბაღში მიღებიან ყმაწვილები არა უხსნიერეს... 2) სწავლის ფასი საყმაწვილო ბაღის ყმაწვილებისა არის თვეში 4 მან....

ამ ექვს თუმანს გარდა, ყოველმა შაგირდმა 5 მან. უნდა შემოიტანოს...

რადგანაც ახლა უფრო გრცელი და მოთავსებული სადგომი აქვს, ამის გამო...

ნახევარ პანსიონერები დილიდან საღამოს შეიღ საათამდინ დაჩივიან...

მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ნემცურთ ენაც ისწავლონ, — ამისთვის...

შეზღუდები, რომელნიც მოისურვებენ, იმათ შეიღებმა პრაქტიკულად...

Large table with multiple columns: რ. მზა., დილა., საღამ., I, II, III, ცეცხლის გეგმები, ფოფა, ბირჟა, მაზანდა. Contains various financial and administrative data.